დანართი №4

უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ანგარიშის შესახებ დასკვნა

დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამა

„ნავთობისა და გაზის ტექნოლოგიები“

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

26. 09. 2022

დასკვნის მომზადების მიზანი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფისთვის, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით გათვალისწინებული რეკომენდაციების ან/და რჩევების საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შესრულების შეფასება.

ანგარიშის შეფასების პრინციპები

წარმოდგენილი ანგარიში უნდა შეფასდეს შემდეგი პრინციპების დაცვით

- ანგარიშის შევსების სისწორისა და თანდართული დოკუმენტაციის შესაბამისობის შეფასება
- აკრედიტაციის პროცესის შედეგად აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში ასახული რეკომენდაცი(ებ)ის ან/და რჩევ(ებ)ის შესწავლა
- საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღებისას გამოკვეთილი და შესრულებული რეკომენდაცი(ებ)ის ან/და რჩევ(ებ)ის შესწავლა
- საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ რეკომენდაცი(ებ)ის ან/და რჩევ(ებ)ის შესრულებისთვის შერჩეული მეთოდების/მიდგომებისა და შედეგების შეფასება
- რეკომენდაცი(ებ)ისა ან/და რჩევ(ებ)ის შესრულების დამადასტურებელი მტკიცებულებების შეფასება
- ანგარიშის შესწავლის შედეგების ფორმირება

ექსპერტი

სახელი ნინო

გვარი დონდოლაძე

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	211349192

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება[1]	ნავთობისა და გაზის ტექნოლოგიები
2	უმაღლესი განათლების საფეხური	დოქტორანტურა
3	კვალიფიკაციის დონე[2]	მერვე
4	კვალიფიკაციის დასახელება	ნავთობისა და გაზის მოპოვების ტექნოლოგიის დოქტორი
5	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით[3]	-
6	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)[4]	სამთო საქმე და მოპოვება 0724
7	სწავლების ენა	ქართული
8	ECTS კრედიტების რაოდენობა	სასწავლო კომპონენტი 50
9	განხორციელების ადგილი[5]	საქართველო, 0160, თბილისი, მ. კოსტავას ქ. 77, № 3 სასწავლო კორპუსი
10	საგანმანათლებლო პროგრამის სტატუსი-აკრედიტაცია შესაბამისი საბჭოს ბოლო გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	აკრედიტირებული საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო 15.07.2021. გადაწყვეტილება № 714557
11	გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი	2021 წლის 1 ივლისი
12	საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის წარმოსადგენად განსაზღვრული ვადა, თარიღი	1 წელი - 2022 წლის 1 ივლისი
13	აკრედიტაციის ვადის გასვლის თარიღი	7 წელი - 2028 წლის 3 ივლისი

[1] დასახელება შინაარსობრივად შეესაბამება დეტალურ სწავლის სფეროს
[2] ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მიხედვით
[3] მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში
[4] განათლების საერთაშორისო სტანდარტული კლასიფიკატორი ((ISCED – F – 2013)
[5] ქვეყანა, საფოსტო ინდექსი, ქალაქი/მუნიციპალიტეტი, ქუჩა, ქუჩის ნომერი

საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შეფასება საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების მიხედვით

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	V			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	V			
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა		V		
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა		V		
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები		V		

შესასრულებელი რეკომენდაცი(ებ)ი[6]

1. სწავლის შედეგების შეფასების რუბრიკა შესაბამისობაში მოვიდეს პროგრამის სწავლის შედგებთან და აისახოს შესაბამის სილაბუსებში.
2. რეკომენდირებულია პროგრამის სწავლის შედეგები შესაბამისობაში მოვიდეს თანამედროვე შრომის ბაზრის მოთხოვნებთან
3. რეკომენდირებულია სადისერტაციო ნაშრომის დაცვაზე დაშვების წინაპირობად, განისაზღვროს საერთაშორისო სამეცნიერო ბაზებში (Scopus/Web of Science) ინდექსირებულ ჟურნალში სტატიის/პუბლიკაციის

[6] საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული რეკომენდაციების რაოდენობის გათვალისწინებით

4. რეკომენდირებულია სადისერტაციო ნაშრომების შესრულების დროს გამოყენებულ იქნას უახლეს მიღწევებზე დაფუძნებული ლიტერატურა
5. მიზანშეწონილია დაწესებულებამ/ფაკულტეტმა გააძლიეროს პროგრამის ინტერნაციონალიზაციის კომპონენტი და მოცემული პროგრამის ფარგლებში უზრუნველყოს ან/და ხელი შეუწყოს სტუდენტების აქტიურ ჩართულობას გაცვლით პროგრამებში, საერთაშორისო პროექტებში, კონფერენციებში.
6. აუცილებელია მეტი ყურადღება მიექცეს სტუდენტებში ცნობადობის ამაღლებას სამეცნიერო ბაზების, ინტელექტუალური საკუთრებისა და მისი დაცვის მექანიზმთა მიმართ, სადისერტაციო ნაშრომების გაფორმებას მსოფლიო პრაქტიკაში აღიარებული თანამედროვე ფორმატის მიხედვით (იგულისხმება სამეცნიერო სიახლის, სამეცნიერო და პრაქტიკული მნიშვნელობების გამოკვეთა, მეცნიერული სტილის მკაცრი დაცვა და სხვა), სტუდენტთა ინფორმირებას პლაგიატისა და საუნივერსიტეტო რეგულაციების შესახებ პლაგიატის გამოვლენის შემთხვევაში.
7. რეკომენდირებულია სადისერტაციო ნაშრომის ხელმძღვანელებმა უზრუნველყონ დოქტორანტების მიერ კვლევით ნაწილში თანამედროვე უცხოენოვანი, ავტორიტეტული წყაროების ინტეგრირება.
8. უნივერსიტეტმა უნდა შეიმუშაოს კონკრეტული და მკაფიო მექანიზმები (შიდა მარეგულირებელი აქტებისა თუ სამოქმედო გეგმაში გაწერის გზით) პერსონალის პროფესიული განვითარებისა და შეფასების მიზნებისათვის;
9. დაწესებულებამ უნდა უზრუნველყოს პერსონალის განვითარების მიზნებისათვის მათი მონაწილეობა უცხოელი სპეციალისტების მიერ განხორციელებულ ლექცია-სემინარებსა თუ ტრენინგებში, საერთაშორისო გამოცდილების გაზიარების მიზნით, როგორც პროფესიაში ახალი ტენდენციების, ისე სწავლა-სწავლების მეთოდების გაცნობის უზრუნველსაყოფად.
10. რეკომენდირებულია პროგრამის ბიუჯეტი წარმოდგენილ იქნას დეტალურად, რაც საშუალებას იძლევა განისაზღვროს პროგრამის ფინანსური მდგრადობა.
11. რეკომენდირებულია ამოქმედდეს შიდა ხარისხის მონიტორინგის მექანიზმები სწავლის შედეგების მიღწევადობის უზრუნველსაყოფად
12. აუცილებელია მკაფიოდ განსაზღვრული პროცედურის არსებობა შეფასების შედეგების შემდგომი გამოყენებისა პროგრამის განვითარების მიზნებისათვის;
13. უნივერსიტეტმა უნდა შეიმუშაოს მექანიზმი, რომელიც შეფასების პროცესში ჩართავს გამოსაკითხ კატეგორიაში შემავალ ყველა დაინტერესებულ მხარეს.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ანგარიშისა და რეკომენდაციების გათვალისწინების შესახებ ინფორმაცია[7]

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტში ხორციელდება სადოქტორო პროგრამა „ნავთობის და გაზის ტექნოლოგიები“, რომელიც აკრედიტებულია საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2021 წლის 15 ივლისის № 714557 გადაწყვეტილების შესაბამისად. ნავთობისა და გაზის ტექნოლოგიების საგანმანათლებლო პროგრამას აკრედიტაცია 7 წლის ვადით მიენიჭა. აკრედიტაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული რეკომენდაციების თაობაზე ანგარიშის წარსადგენად განესაზღვრა 1 წელი. რეკომენდაციების შესრულების მიზნით შეიქმნა სამუშაო ჯგუფი. სამუშაო ჯგუფი გაეცნო საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის ექსპერტთა საბჭოს რეკომენდაციებს, განიხილეს თითოეული მათგანი, განხორციელდა შესაბამისი ცვლილებები, საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცდა აკადემიურ საბჭოზე. შესაბამისი ცვლილებები მოცემულია „რეკომენდაციების გათვალისწინების შესახებ“ ცხრილის აღწერით ნაწილში.

რჩევ(ებ)ი[8]

1.ფაკულტეტზე სადოქტორო ნაშრომების შესრულებისას გამოყენებული ლიტერატურის მითითებისა და მოყვანის წესი ერთნაირი უნდა იყოს;

2.სასურველია, დეტალურად გაიწეროს დისერტაციაზე მუშაობის პროცესში თემის ხელმძღვანელთან ურთიერთობის პროცედურები.

3. დაწესებულებამ მეტად უნდა უზრუნველყოს პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის ხელშეწყობა, რათა მათ შეძლონ საერთაშორისო სიმპოზიუმებსა და კონფრენციებში უფრო აქტიური მონაწილეობა, ასევე გარდა დაწესებულების სამეცნიერო ჟურნალისა, სხვა საერთაშორისო ინდექსაციის მქონე ჟურნალებში ნაშრომების გამოქვეყნება.

4. მიზანშეწონილია დაწესებულებამ, სასწავლო კორპუსის შენობის სარემონტო-სარეაბილიტაციო სამუშაოებთან ერთად, ასევე უზრუნველყოს პროგრამის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლება, ასევე სასწავლო პროცესში თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიების სწავლების მიზნით, შესაბამისი რესურსების დანერგვა.

5. მიზანშეწონილია, დაწესებულებამ უზრუნველყოს ელექტრონული სერვისების განვითარება, როგორც სტუდენტებისა და პროფესორ-მასწავლებლებისათვის, ასევე დაწესებულებისა თუ ფაკულტეტის ადმინისტრაციის სამუშაო პროცესის მენეჯმენტის უზრუნველყოფის მიზნით;

6. უზრუნველყოფილი უნდა იყოს სტუდენტების მეტი ინფორმირება უნივერსიტეტში მოქმედი შიდა რეგულაციების შესახებ.

---

[7] საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ანგარიშის წარმოდგენის თარიღი, საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული ანგარიშის წარმოდგენის ვადა, რეკომენდაციების ან/და რჩევების გათვალისწინების პროცესში ჩართული პირების, შერჩეული მეთოდების/მიდგომების აღწერა და საბოლოოდ მიღწეული შედეგები, საჭიროებისამებრ, დამატებით სხვა ინფორმაცია.

[8] საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული რჩევების რაოდენობის გათვალისწინებით (რჩევების გათვალისწინება არ არის სავალდებულო)

7. მიზანშეწონილია, სამართლებრივი ტექნიკის თვალსაზრისით, შესაბამისმა პასუხისმგებელმა სტრუქტურულმა ერთეულმა განახორციელოს დაწესებულების მიერ შემუშავებული შიდა მარეგულირებელი აქტების კოდიფიცირება, მასში ცვლილებების განხორციელების შემთხვევაში, რათა დაინტერესებულ პირებს ერთიან აქტში ჰქონდეთ მოქმედი მარეგულირებელი ნორმების გაცნობის შესაძლებლობა;

8.მიზანშეწონილია, უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე განთავსებული იყოს უნივერსიტეტში მოქმედი ყველა შიდა რეგულაციის საბოლოო, მოქმედი რედაქცია.

9. პროგრამის შემდგომი განვითარებისათვის, მიზანშეწონილია უნივერსიტეტმა, გარდა მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სავალდებულო გარე შეფასების პროცედურებისა, განახორციელოს პროგრამის გარე შეფასება ისეთი პროცედურების მეშვეობით, როგორიც არის განმავითარებელი შეფასება, მოწვეული ექსპერტების მიერ პროგრამების შეფასება და დასახოს სამოქმედო გეგმა მიღებული რჩევებისა და რეკომენდაციების გათვალისწინებითსათვის.

10. სასურველია, პროგრამის განვითარების მიზნებისათვის, გაზიარებულ იქნეს დამსაქმებელთა მზადყოფნა, რომ დაინტერესების შემთხვევაში, დამსაქმებლები სტუდენტებისა და პროფესორ-მასწავლებლებისათვის მოაწყობენ შეხვედრებს, მსჯელობებს, საჯარო ლექციებს დასაქმების ბაზარზე განხორციელებული ცვლილებების, განახლებული მოთხოვნების, სწავლის სფეროს შესაბამისი ახალი ტენდენციების, სამუშაო მეთოდებისა და თანამედროვე მიდგომების გაცნობის მიზნით.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ანგარიშისა და რჩევების გათვალისწინების შესახებ ინფორმაცია[9]

როგორც უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი მასალებიდან ირკვევა რეკომენდაციების შესრულებაზე პასუხისმგებელმა სამუშაო ჯგუფმა გაიზიარა აკრედიტაციის საბჭოს 2021 წლის 15 ივლისის № 714557 გადაწყვეტილებით მიღებული რჩევების გათვალისწინების საჭიროება, რომელთა რეკომენდაციებთან ერთობლიობაში შესრულება ცალსახად პოზიტიურად აისახება საგანმანათლებლო პროგრამის შემდგომ განვითარებაზე. ამასთან, წარმოდგენილი რჩევების შერულების პროცესი დაიწყო მყისიერად და მიმდინარეობს გეგმიური შედეგებით, რაც საანგარიშო ერთწლიან პროცესში ვერ დასრულდება. გარდა ამისა, რეკომენდაციებისა და რჩევების შინაარსის ურთიერთმიმართება, რიგ შემთხვევებში არის მჭიდრო კავშირში და რეკომენდაციის შესრულება პირდაპირპროპორციულად აისახება კონკრეტული „რჩევის“ შესრულების ხარისხზე.

დამატებითი ინფორმაცია[10]

---

[9] საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ანგარიშის წარმოდგენის თარიღი, საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული ანგარიშის წარმოდგენის ვადა, რეკომენდაციების ან/და რჩევების გათვალისწინების პროცესში ჩართული პირების, შერჩეული მეთოდების/მიდგომების აღწერა და საბოლოოდ მიღწეული შედეგები, საჭიროებისამებრ, დამატებით სხვა ინფორმაცია.

რეკომენდაცი(ებ)ის ან/და რჩევ(ებ)ის გათვალისწინების შესახებ[11]

სტანდარტის დასახელება[12]	1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა
კომპონენტის დასახელება[13]	1.2. პროგრამის სწავლის შედეგები
რეკომენდაცია I[14]	სწავლის შედეგების შეფასების რუბრიკა შესაბამისობაში მოვიდეს პროგრამის სწავლის შედგებთან და აისახოს შესაბამის სილაბუსებში.
შეფასება	რეკომენდაცია შესრულებულია. საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის მიხედვით და მტკიცებულებების საფუძველზე ირკვევა, რომ სტუ-ს სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტის სამუშაო ჯგუფმა გაითვალისწინა რეკომენდაცია სწავლის შედეგების შეფასების რუბრიკის პროგრამის სწავლის შედგებთან შესაბამისობაში მოყვანის და შესაბამის სილაბუსებში ასახვის თაობაზე. სასწავლო კურსებში: ნავთობის და გაზის საბადოს დამუშავების მოდელირება, ჭაბურღილების ბურღვის პროცესების ოპტიმიზაცია, ნავთობიანი ფენების კვლევა ინდიკატორული მეთოდით, ბურღვის მონაცემების მათემატიკური დამუშავება, შეიცვალა დასკვნითი გამოცდის შეფასების რუბრიკა, კერძოდ ტესტები დახურული კითხვებით შეიცვალა ქეისის განხილვით.
რჩევა[15] I	
შეფასება	
მტკიცებულებ(ები)ა	1. კრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

---

[10] საგანმანათლებლო დაწესებულების გადაწყვეტილებით, საჭიროების შემთხვევაში

[11] საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული რეკომენდაციების ან/და რჩევების რაოდენობის გათვალისწინებით

[12] სტანდარტის დასახელება ნუმერაციის მითითებით

[13] კომპონენტის დასახელება ნუმერაციის მითითებით

[14] საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)

[15] საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რჩევა გადმოიტანეთ უცვლელად)

	უმაღლესი საგანმანათლებლო სადოქტორო პროგრამის „ნავთობის და გაზის ტექნოლოგიები“ შესახებ; 2. სასწავლო კურსების სილაბუსები (დანართი 1);

სტანდარტის დასახელება	1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა
კომპონენტის დასახელება	1.2 პროგრამის სწავლის შედეგები
რეკომენდაცია II[16]	რეკომენდირებულია პროგრამის სწავლის შედეგები შესაბამისობაში მოვიდეს თანამედროვე შრომის ბაზრის მოთხოვნებთან.
შეფასება	რეკომენდაცია შესრულებულია. საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის მიხედვით და მტკიცებულებების საფუძველზე ირკვევა, რომ სტუ-ს სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტის სამუშაო ჯგუფმა გაითვალისწინა რეკომენდაცია სწავლის შედეგების თანამედროვე შრომის ბაზრის მოთხოვნებთან. შესაბამისობაში მოყვანის მიზნით დარგის წარმომადგენლებთან შეხვედრისას (დეპარტამენტის სხდომის ოქმი 5), მათი მოსაზრებების გათვალისწინებით, სასწავლო კურსში „ნავთობისა და გაზის საბადოების დამუშავების მოდელირება“ ჩაემატა საკითხი, რომელიც ეხება სიახლეებს საბადოს დამუშავებაში. კერძოდ, ნავთობის საბადოების ბუნებრივი რეჟიმით დამუშავების დროს პროდუქტიულ ფენაში კვლავ რჩება ნავთობის მარაგის დიდი ნაწილი, რომლის მოპოვებისთვის გამოიყენება ფენაზე ზემოქმედების მეორეული, მესამეული და თანამედროვე მეთოდები. ამ მეთოდების გამოყენების მიუხედავად საბადოს სპეციფიკიდან გამომდინარე, საბადოს გაწყლიანებული უბნებიდან დარჩენილი ნარჩენი ნავთობის მოპოვების გაზრდის მიზნით რეკომენდირებულია მეთოდი, რომელიც განიხილავს საექსპლუატაციო ჭაბურღილების კომპლექსურ მუშაობას. აღნიშნული მიდგომა ხელს უწყობს არადრენირებული ზონების ჩართულობას საბადოს დამუშავების პროცესში.
რჩევა[17] II	

[16] საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)

შეფასება	
მტკიცებულებ(ები)ა	1. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო სადოქტორო პროგრამის „ნავთობისა და გაზის ტექნოლოგიები“ შესახებ; 2. ნავთობისა და გაზის ტექნოლოგიების დეპარტამენტის 2022 წლის 4 აპრილის სხდომის ოქმი № 5 (დანართი 2); 3. სასწავლო კურსის სილაბუსი „ნავთობისა და გაზის საბადოების დამუშავების მოდელირება“ (დანართი 1).

სტანდარტის დასახელება[18]	2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობ
კომპონენტის დასახელება[19]	2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი
რეკომენდაცია III[20]	რეკომენდირებულია სადისერტაციო ნაშრომის დაცვაზე დაშვების წინაპირობად, განისაზღვროს საერთაშორისო სამეცნიერო ბაზებში (Scopus/Web of Science) ინდექსირებულ ჟურნალში სტატიის/ პუბლიკაციის გამოქვეყნება.
შეფასება	რეკომენდაცია შესრულებულია. უნივერსიტეტმა გაითვალისწინა აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაცია კვლევის ინტერნაციონალი-ზაციის საკითხის გაძლიერებისა და სადისერტაიო ნაშრომის დაცვის წინაპირობად საერთაშორისო სამეცნიერო ბაზებში ინდექსირებულ იმპაქტ-ფაქტორის მქონე სამეცნიერო ჟურნალებში პუბლიკაციების გამოქვეყნების განსაზღვრის შესახებ. ამასთან დაკავშირებით ცვლილება შევიდა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტურის დებულებაში (საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს დადგენილება #01-05-04/56, 27.05.2022) და მე-10 მუხლის 10.11 ქვეპუნქტი ასე ჩამოყალიბდა: „დოქტორანტი ვალდებულია ნაშრომის სადისერტაციო საბჭოში წარდგენამდე, წარმოადგინოს

[17] საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რჩევა გადმოიტანეთ უცვლელად)

[18] სტანდარტის დასახელება ნუმერაციის მითითებით

[19] კომპონენტის დასახელება ნუმერაციის მითითებით

[20] საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)

	სადისერტაციო თემასთან დაკავშირებული კვლევის ძირითადი შედეგების ამსახველი ინფორმაცია (სამეცნიერო კონფერენციების, სემინარების, გამოგონებების, პატენტების დამადასტურებელი ოფიციალური დოკუმენტები (მათი არსებობის შემთხვევაში) და მათი სია დამოწმებული შესაბამისი აკადემიური დეპარტამენტის ხელმძღვანელის მიერ, მათ შორის დოქტორანტის სწავლის პერიოდში, დადგენილი წესის შესაბამისად გამოქვეყნებული არანაკლებ სამი სამეცნიერო სტატია, რომელთაგანაც ერთი უნდა იყოს თანაავტორების გარეშე. დოქტორანტის მიერ სწავლის პერიოდში გამოქვეყნებული არანაკლებ სამი სამეცნიერო სტატიიდან, სულ მცირე ერთი უნდა იყოს გამოქვეყნებული სამეცნიერო გამოცემაში, რომელიც ინდექსირებულია Web of Science, Scopus, Google Scholar ბაზაში.
რჩევა[21] III	
შეფასება	
მტკიცებულებ(ები)ა	1. სტუ-ს აკადემიური საბჭოს დადგენილება #01-05-04/56 „სტუ-ს დოქტორანტურის დებულებაში ცვლილებების შეტანის შესახებ“; 2. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო სადოქტორო პროგრამის „ნავთობისა და გაზის ტექნოლოგიები“ შესახებ;

სტანდარტის დასახელება[22]	2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა
კომპონენტის დასახელება[23]	2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/ შემოქმედებითი/ საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება
რეკომენდაცია IV[24]	რეკომენდირებულია სადისერტაციო ნაშრომების შესრულების დროს გამოყენებულ იქნას უახლეს მიღწევებზე დაფუძნებული ლიტერატურა
შეფასება	რეკომენდაცია შესრულებულია. საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის

[21] საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რჩევა გადმოიტანეთ უცვლელად)

[22] სტანდარტის დასახელება ნუმერაციის მითითებით

[23] კომპონენტის დასახელება ნუმერაციის მითითებით

[24] საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)

	საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის მიხედვით და მტკიცებულებების საფუძველზე ირკვევა, რომ უნივერსიტეტმა გაითვალისწინა აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაცია სადისერტაციო ნაშრომებში სამეცნიერო ლიტერატურის განახლებისა და უახლეს მიღწევებზე დაფუძნებული ლიტერატურის გამოყენების შესახებ. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტურის დებულებით განსაზღვრულია მოთხოვნები სადისერტაციო ნაშრომის მაღალი ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით განსახორციელებელი აუცილებელი მოთხოვნები, მათ შორის უახლესი სამეცნიერო ლიტერატურის და პუბლიკაციების გამოყენების აუცილებლობა. დებულების „დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარდგენილი დისერტაციის გაფორმების ინსტრუქცია“ არეგულირებს ნაშრომის გაფორმების, მათ შორის ლიტერატურის ციტირების საკითხებს. სტუ - ს ბიბლიოთეკა მდიდარია თანამედროვე სამეცნიერო ლიტერატურით და ელექტრონული რესურსებით. ნებისმიერი მომხმარებლისთვის უნივერსიტეტის ვებგვერდზე ხელმისაწვდომია მსოფლიოში ცნობილი აკადემიური ბაზები, ბიბლიოთეკის ელექტრონული კატალოგი და ლიტერატურის ელექტრონული საძიებო სისტემა. სტუდენტებსა და პერსონალს აქვთ წვდომა Elsevier-ის მიერ შემოთავაზებულ პროდუქტებზე - სამეცნიერო ბაზებზე: ScienceDirect და Scopus, Cambridge University Press, Royal Society Publishing – journals, Bioone, IMF eLibrary, SAGE Journals, Edward Elgar Publishing, Duke University Press, Massachusetts Medical Society, Polpred.com Mass Media Review. აღნიშნული რესურსები საშუალებას აძლევს დოქტორანტებს გაეცნონ დარგში არსებულ თანამედროვე მიღწევებს და სადოქტორო ნაშრომის შესრულებისას გამოიყენონ შესაბამისი უახლესი ლიტერატურული წყაროები. დოქტორანტებს, სადოქტორო ნაშრომის შესასრულებლად, უტარდებათ შესაბამისი

	ინსტრუქტაჟი ზემოაღნიშნული რესურსების უფრო ეფექტური გამოყენების მიზნით, როგორც ფაკულტეტზე, ისე ნავთობისა და გაზის ტექნოლოგიების დეპარტამენტში, რომლებიც ჩართული არიან აღნიშნული პროგრამის განხორციელებაში.
რჩევა[25] IV	
შეფასება	
მტკიცებულებ(ები)ა	1. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო სადოქტორო პროგრამის „ნავთობისა და გაზის ტექნოლოგიები“ შესახებ; 2. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს დადგენილება #01-05-04/56, 27.05.2022, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტურის დებულებაში ცვლილებების შეტანის შესახებ (დანართი 3). 3. ნავთობისა და გაზის ტექნოლოგიების დეპარტამენტის 2021 წლის 9 ივლისის სხდომის ოქმი № 5 (დანართი 4). 4. https://gtu.ge/Library/

სტანდარტის დასახელება[26]	3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა
კომპონენტის დასახელება[27]	3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება
რეკომენდაცია V[28]	მიზანშეწონილია დაწესებულებამ/ფაკულტეტმა გააძლიეროს პროგრამის ინტერნაციონალიზაციის კომპონენტი და მოცემული პროგრამის ფარგლებში უზრუნველყოს ან/და ხელი შეუწყოს სტუდენტების აქტიურ ჩართულობას გაცვლით პროგრამებში, საერთაშორისო პროექტებში, კონფერენციებში.
შეფასება	რეკომენდაცია შესრულებულია. უნივერსიტეტმა გაითვალისწინა აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაცია დაწესებულების/ფაკულტეტის მიერ პროგრამის ინტერნაციონალიზაციის კომპონენტის გააძლიერების და მოცემული პროგრამის

[25] საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რჩევა გადმოიტანეთ უცვლელად)

[26] სტანდარტის დასახელება ნუმერაციის მითითებით

[27] კომპონენტის დასახელება ნუმერაციის მითითებით

[28] საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)

	ფარგლებში სტუდენტების გაცვლით პროგრამებში, საერთაშორისო პროექტებში, კონფერენციებში აქტიურ ჩართულობის უზრუნველყოფის ან/და ხელშეწყობის შესახებ. საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის და მტკიცებულებების საფუძველზე ირკვევა, რომ სტუ-ში ყოველწლიურად იგეგმება და ხორციელდება სხვადასხვა სახის სამეცნიერო და კვლევითი პროექტები, ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციები, სადაც ტექნიკური უნივერსიტეტის თითოეულ სტუდენტს აქვს მრავალი შესაძლებლობა თავის ხელმძღვანელებთან ერთად ჩაერთონ სხვადასხვა ადგილობრივი და საერთაშორისო პროექტებსა და ღონისძიებებში. ამგვარი პროექტების და ღონისძიებების რაოდენობა სტუ-ს მასშტაბის და მრავალპროფილურობის გათვალისწინებით საკმაოდ დიდია და შესაბამისად აუცილებელია გაიზარდოს ინფორმაციის ხელმისაწვდომობის ხარისხი. მიმდინარეობს სტუ-ს ვებ-გვერდის რეორგანიზაცია, რათა უფრო მობილური და მარტივი იყოს საიტზე სხვადასხვა სიახლეების მოძიება, სხვადასხვა სოციალურ პლატფორმებზე შეიქმნა შესაბამისი საინფორმაციო გვერდები და სპეციალიზებული ჯგუფები, რაც ონლაინ რეჟიმზე გადასვლის ეტაპზე ინფორმაციის ხელმისაწვდომობის მთავარი პლატფორმები იქნება. განსაკუთრებით საინტერესოა ის ფაქტი რომ, რეორგანიზაციის შემდეგ სტუ-ში შეიქმნა გრანტების მომსახურების ოფისი. აღნიშნული სამსახური პასუხისმგებელია უნივერსიტეტში საგრანტო პროცესის გამართვასა და კოორდინაციაზე, ასევე პროფესორ-მასწავლებლებს, ადმინისტრაციულ პერსონალსა და სტუდენტებს ეხმარება ინსტიტუციური და კვლევითი განვითარებისათვის დაფინანსების წყაროების მოძიებაში, გრანტის წერასა და მისი ადმინისტრირების პროცესში. სამსახური ასევე უზრუნველყოფს დონორების მიერ გრანტების განხორციელებისთვის განსაზღვრული რეგულაციების დაცვას და აწარმოებს უნივერსიტეტში მიმდინარე და განხორციელებული გრანტების რეესტრს. გარდა ამისა სტუ-ს ყველა, მათ შორის სამთო გეოლოგიურ ფაკულტეტზე, შეიქმნა ახალი საშტატო ერთეული - დეკანის თანაშემწე მეცნიერებისა და საერთაშორისო ურთიერთობების დარგში, რომლის ერთ-ერთი

	მოვალეობაა - სტუდენტების კონსულტირება ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო ქსელში ინტეგრირების, საერთაშორისო სამეცნიერო ბაზების გამოყენების, სხვადასხვა სამეცნიერო ღონისძიებების შესახებ.
რჩევა[29] V	
შეფასება	
მტკიცებულებ(ები)ა	1. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო სადოქტორო პროგრამის „ნავთობისა და გაზის ტექნოლოგია“ შესახებ; 2. სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტის დებულება (დანართი 5); 3. სტუ-ს საგრანტო მომსახურების ოფისის დებულება (დანართი 6).

სტანდარტის დასახელება[30]	3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა
კომპონენტის დასახელება[31]	3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა
რეკომენდაცია VI[32]	აუცილებელია მეტი ყურადღება მიექცეს სტუდენტებში ცნობადობის ამაღლებას სამეცნიერო ბაზების, ინტელექტუალური საკუთრებისა და მისი დაცვის მექანიზმთა მიმართ, სადისერტაციო ნაშრომების გაფორმებას მსოფლიო პრაქტიკაში აღიარებული თანამედროვე ფორმატის მიხედვით (იგულისხმება სამეცნიერო სიახლის, სამეცნიერო და პრაქტიკული მნიშვნელობების გამოკვეთა, მეცნიერული სტილის მკაცრი დაცვა და სხვა), სტუდენტთა ინფორმირებას პლაგიატისა და საუნივერსიტეტო რეგულაციების შესახებ პლაგიატის გამოვლენის შემთხვევაში.
შეფასება	რეკომენდაცია შესრულდა. უნივერსიტეტმა გაითვალისწინა აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაცია. რეკომენდაციაში აღნიშული საკითხები სტუ-ში რეგულირდება სხვადასხვა სამართლებრივი აქტებით.

[29] საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რჩევა გადმოიტანეთ უცვლელად)

[30] სტანდარტის დასახელება ნუმერაციის მითითებით

[31] კომპონენტის დასახელება ნუმერაციის მითითებით

[32] საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)

	მათ შორის, „საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დებულება დოქტორანტურის შესახებ“ დეტალურად აწესრიგებს დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის კვლევითი კომპონენტის შეფასების წესსა და კრიტერიუმებს; ასევე დამტკიცებულია საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში შესრულებული ნაშრომის პლაგიატის არსებობაზე შემოწმების წესი. ხელმძღვანელი ეხმარება დოქტორანტებს თავისი ცოდნითა და გამოცდილებით სამეცნიერო პროექტის მართვაში; ასევე ხელს უწყობს დოქტორანტს სამეცნიერო ნაშრომების, სადოქტორო ნაშრომის მომზადებაში გაითვალისწინოს სამეცნიერო ეთიკის ნორმები და პლაგიატიზმის საწინააღმდეგო მოთხოვნები. სტუდენტს პროგრამის ფარგლებში აქვს სრული ინფორმაცია, საჭიროების შემთხვევაში სად მოიძიოს ინფორმაცია სადოქტორო ნაშრომის შეფასების კრიტერიუმების შესახებ, ასევე პლაგიატზე შემოწმების წესი. „საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დებულება დოქტორანტურის შესახებ“ არეგულირებს რეკომენდაციაში აღნიშნულ საკითხს და სავალდებულოდ შესასრულებელ ვალდებულებად განსაზღვრავს ლიტერატურის მითითების (ციტირება, სქოლიო) ერთიანი სტანდარტის დაცვას.
რჩევა[33] VI	
შეფასება	
მტკიცებულებ(ები)ა	1. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო სადოქტორო პროგრამის „ნავთობისა და გაზის ტექნოლოგია“ შესახებ; 2. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს დადგენილება #01-05-04/56, 27.05.2022, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტურის დებულებაში ცვლილებების შეტანის შესახებ (დანართი 3). 3. “საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტურის დებულება” 2021 წლის 20 აგვისტოს №01-05-04/135 დადგენილება (დანართი 7). 4. პროგრამის ხელმძღვანელის ფუნქციები; 5. უნივერსიტეტის ვებ-გვერდი;

[33] საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რჩევა გადმოიტანეთ უცვლელად)

სტანდარტის დასახელება[34]	3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა
კომპონენტის დასახელება[35]	3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა
რეკომენდაცია VII[36]	რეკომენდირებულია სადისერტაციო ნაშრომის ხელმძღვანელებმა უზრუნველყონ დოქტორანტების მიერ კვლევით ნაწილში თანამედროვე უცხოენოვანი, ავტორიტეტული წყაროების ინტეგრირება.
შეფასება	რეკომენდაცია შესრულებულია. საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის მიხედვით და მტკიცებულებების საფუძველზე ირკვევა, რომ უნივერსიტეტმა გაითვალისწინა აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაცია ხელმძღვანელების მიერ დოქტორანტების სადისერტაციო ნაშრომის კვლევით ნაწილში თანამედროვე უცხოენოვანი, ავტორიტეტული წყაროების ინტეგრირების უზრუნველყოფის შესახებ. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტურის დებულებით განსაზღვრულია სადისერტაციო ნაშრომის მაღალი ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით განსახორციელებელი აუცილებელი მოთხოვნები, მათ შორის უახლესი სამეცნიერო ლიტერატურის და პუბლიკაციების გამოყენების აუცილებლობა. დებულება „დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარდგენილი დისერტაციის გაფორმების ინსტრუქცია“ არეგულირებს ნაშრომის გაფორმების, მათ შორის ლიტერატურის ციტირების საკითხებს. აღნიშნული რეკომენდაციის გათვალისწინებით სამთო - გეოლოგიურ ფაკულტეტზე სადოქტორო ნაშრომების დაცვის ეტაპზე დეპარტამენტში მკაცრად მიექცა ყურადღება ნაშრომების კვლევით ნაწილში თანამედროვე უცხოენოვანი, ავტორიტეტული წყაროების ინტეგრირების საკითხის, დარგის და განსახილველი საკითხის სპეციფიკის გათვალისწინებით, რასაც განსაკუთრებული

[34] სტანდარტის დასახელება ნუმერაციის მითითებით

[35] კომპონენტის დასახელება ნუმერაციის მითითებით

[36] საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)

	ყურადღება უნდა მიაქციონ სადისერტაციო ნაშრომის ხელმძღვანელებმა. ამასთან დოქტორანტებს გაეზარდათ უცხოურ ბაზებთან წვდომის შესაძლებლობა. ტექნიკურმა უნივერსიტეტმა 2021 წლიდან საპარტნიორო ხელშეკრულება გააფორმა 7 უცხოურ ორგანიზაციასთან და უნივერსიტეტთან (https://gtu.ge/Suss/Statements.php).
რჩევა[37] VII	
შეფასება	
მტკიცებულებ(ები)ა	1. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო სადოქტორო პროგრამის „ნავთობისა და გაზის ტექნოლოგია“ შესახებ; 2. “საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტურის დებულება” 2021 წლის 20 აგვისტოს №01-05-04/135 დადგენილება (დანართი 7). 3. პროგრამის ხელმძღვანელის ფუნქციები; 4. ნავთობისა და გაზის ტექნოლოგიების დეპარტამენტის 2021 წლის 9 ივლისის სხდომის ოქმი № 5 (დანართი 4). 5. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს დადგენილება #01-05-04/56, 27.05.2022, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტურის დებულებაში ცვლილებების შეტანის შესახებ (დანართი 3). 6. უნივერსიტეტის ვებ-გვერდი;

სტანდარტის დასახელება[38]	4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა
კომპონენტის დასახელება[39]	4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება
რეკომენდაცია VIII[40]	უნივერსიტეტმა უნდა შეიმუშაოს კონკრეტული და მკაფიო მექანიზმები (შიდა მარეგულირებელი აქტებისა თუ სამოქმედო გეგმაში გაწერის გზით) პერსონალის პროფესიული განვითარებისა და შეფასების მიზნებისათვის;

[37] საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რჩევა გადმოიტანეთ უცვლელად)
[38] სტანდარტის დასახელება ნუმერაციის მითითებით
[39] კომპონენტის დასახელება ნუმერაციის მითითებით
[40] საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)

შეფასება	რეკომენდაცია შესრულებულია. წარმოდგენილი ანგარიშის მიხედვით და მტკიცებულებების საფუძველზე ირკვევა, რომ უნივერსიტეტმა გაითვალისწინა აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაცია უნივერსიტეტის მიერ პერსონალის პროფესიული განვითარებისა და შეფასების მიზნებისათვის კონკრეტული და მკაფიო მექანიზმების (შიდა მარეგულირებელი აქტებისა თუ სამოქმედო გეგმაში გაწერის გზით) შემუშავების შესახებ; საქართველოს ტექნიკურმა უნივერსიტეტმა შეიმუშავა პერსონალის პროფესიული განითარების წესი, რომელიც განსაზღვრავს აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის პროფესიული განვითარების უზრუნველყოფის მექანიზმებს, სწავლის ხელშემწყობ საქმიანობას კვალიფიკაციის ამაღლების კურსების, ტრენინგების და სხვა სახის სწავლების გავლის გზით, როგორც უნივერსიტეტის ფარგლებში, ისე მის ფარგლებს გარეთ.
რჩევა[41] VIII	
შეფასება	
მტკიცებულებ(ები)ა	1. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო სადოქტორო პროგრამის „ნავთობისა და გაზის ტექნოლოგია“ შესახებ; 2. სტუ-ს პერსონალის პროფესიული განვითარების წესი - სტუ-ს აკადემიური საბჭოს 2019 წლის 23 სექტემბრის დადგენილება №01-05-04/245 (დანართი 8). 3. https://gtu.ge/pdf/dadgenilebebi/dadgenilebebi_2019_245.pdf

სტანდარტის დასახელება[42]	4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა
კომპონენტის დასახელება[43]	4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება
რეკომენდაცია IX[44]	დაწესებულებამ უნდა უზრუნველყოს პერსონალის განვითარების მიზნებისათვის მათი მონაწილეობა

[41] საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რჩევა გადმოიტანეთ უცვლელად)

[42] სტანდარტის დასახელება ნუმერაციის მითითებით

[43] კომპონენტის დასახელება ნუმერაციის მითითებით

[44] საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)

	უცხოელი სპეციალისტების მიერ განხორციელებულ ლექცია-სემინარებსა თუ ტრენინგებში, საერთაშორისო გამოცდილების გაზიარების მიზნით, როგორც პროფესიაში ახალი ტენდენციების, ისე სწავლა-სწავლების მეთოდების გაცნობის უზრუნველსაყოფად.
შეფასება	რეკომენდაცია შესრულებულია. წარმოდგენილი ანგარიშის მიხედვით და მტკიცებულებების საფუძველზე ირკვევა, რომ უნივერსიტეტმა გაითვალისწინა აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაცია საერთაშორისო გამოცდილების გაზიარების მიზნით, როგორც პროფესიაში ახალი ტენდენციების, ისე სწავლა-სწავლების მეთოდების გაცნობის უზრუნველსაყოფად პერსონალის განვითარების მიზნებისათვის მათი უცხოელი სპეციალისტების მიერ განხორციელებულ ლექცია-სემინარებსა თუ ტრენინგებში დაწესებულების მიერ მონაწილეობის უზრუნველყოფის შესახებ. აღსანიშნავია შეხვედრა სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტის „ნავთობისა და გაზის ტექნოლოგიების დეპარტამენტისა“ და ინგლისურ კომპანია „ბლოკენერჯის“ წარმომადგენლების შორის, რომელის გაიმართა 2022 წლის 11 მაისს. შეხვედრას ესწრებოდა ფაკულტეტის დეკანატი და აკადემიური პერსონალი. შეხვედრის ინიციატორები იყვნენ ინგლისური კომპანია“ ბლოკენერჯის“ დირექტორი კენ სეიმური, მთავარი გეოლოგი ჯონათან ბრედფორდი და ტექნიკური მენეჯერი სტივენ ჯეიმსი. კომპანია დაინტერესებულია საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამთო-გეოლოგიურ ფაკულტეტთან ურთიერთთანამშრომ-ლობის მემორანდუმის გაფორმებითა და სამომავლოდ, მემორანდუმის ფარგლებში სტუდენტთა გადამზადებით. აღსანიშნავია, რომ შეხვედრის ბოლოს ჯონათან ბრედფორდმა ჩაატარა ტრენინგი და საერთაშორისო გამოცდილების გაზიარებს მიზნით წარმოადგინა პრეზენტაცია მათ სალიცენზიო ბლოკში არსებული საქართველოს ნავთობისა და გაზის საბადოების პერსპექტივების შესახებ. დაგეგმილია ასეთი ტრენინგების გაგრძელდება.
რჩევა[45] IX	
შეფასება	

[45] საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რჩევა გადმოიტანეთ უცვლელად)

მტკიცებულებ(ები)ა	1. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო სადოქტორო პროგრამის „ნავთობისა და გაზის ტექნოლოგია“ შესახებ; 2. https://gtu.ge/Mining/News/?ELEMENT_ID=19615 ტრენინგი - ბლოკენერჯი (დანართი 9).

სტანდარტის დასახელება[46]	4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა
კომპონენტის დასახელება[47]	4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა
რეკომენდაცია X[48]	რეკომენდირებულია პროგრამის ბიუჯეტი წარმოდგენილ იქნას დეტალურად, რაც საშუალებას იძლევა განისაზღვროს პროგრამის ფინანსური მდგრადობა.
შეფასება	რეკომენდაცია შესრულებულია. წარმოდგენილი ანგარიშის მიხედვით და მტკიცებულებების საფუძველზე ირკვევა, რომ უნივერსიტეტმა გაითვალისწინა აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაცია პროგრამის ბიუჯეტის დეტალურად წარმოდგენის შესახებ, რაც საშუალებას იძლევა განისაზღვროს პროგრამის ფინანსური მდგრადობა. პროგრამის ბიუჯეტი წარმოდგენილია დეტალურად, სადაც მონაცემები მიღებულია ფაკულტეტის ბიუჯეტში თანამდებობრივი სარგოს შესაბამისი თანხიდან და დაანგარიშებულია პროგრამაზე არსებული სტუდენტების რაოდენობის მიხედვით - 4 სტუდენტისათვის. ბიუჯეტში მოყვანილია პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო დამატებითი ხარჯები, საუნივერსტიტეტო ადმინისტრირების ხარჯი, კომუნალური გადასახადები, ქონების, მიწის გადასახდელების მოსაკრებლები. კერძოდ სადოქტორო პროგრამა “ნავთობისა და გაზის ტექნოლოგიები“ ბიუჯეტში (დანართი 10) ჩამოყალიბებულია შემდეგი: ყოველწლიური შემოსავალი აღნიშნულ პროგრამაზე სტუდენთთა კონტიგენტის გათვალისწინებით - 9000 ლარი; პროგრამის განხორციელებისათვის არსებული საათები - 375 საათი.

[46] სტანდარტის დასახელება ნუმერაციის მითითებით
[47] კომპონენტის დასახელება ნუმერაციის მითითებით
[48] საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)

	მოცემული რიცხვი მიღებულია ფაკ-ის ბიუჯეტში თანანმდებობრივი სარგოს შესაბამისი თანხიდან და დაანგარიშებულია პროგრამაზე არსებული სტუდენტების რაოდენობის მიხედვით, 5625 ლარი. პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო დამატებითი ხარჯები - 800 ლარი; საუნივერსტიტეტო ადმინისტრირების ხარჯი - 900 ლარი; კომუნალური გადასახადები - 500 ლარი; ქონების, მიწის, გადასახადი, მოსაკრებლები - 500 ლარი; სულ ხარჯი 8325 ლარი; ფინანსური ანალიზის შედეგი + 675; განვითარების ფონდი 7%.
რჩევა[49] X	
შეფასება	
მტკიცებულებ(ები)ა	1. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო სადოქტორო პროგრამის „ნავთობისა და გაზის ტექნოლოგია“ შესახებ; 2. დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „ნავთობისა და გაზის ტექნოლოგიები“ ბიუჯეტი (დანართი 10).

სტანდარტის დასახელება[50]	5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები
კომპონენტის დასახელება[51]	5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება
რეკომენდაცია XI[52]	რეკომენდირებულია ამოქმედდეს შიდა ხარისხის მონიტორინგის მექანიზმები სწავლის შედეგების მიღწევადობის უზრუნველსაყოფად.
შეფასება	რეკომენდაცია შესრულებულია. წარმოდგენილი ანგარიშის მიხედვით და მტკიცებულებების საფუძველზე ირკვევა, რომ უნივერსიტეტმა გაითვალისწინა აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაცია შიდა ხარისხის მონიტორინგის მექანიზმების ამოქმედების შესახებ სწავლის შედეგების მიღწევადობის უზრუნველსაყოფად.

[49] საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რჩევა გადმოიტანეთ უცვლელად)

[50] სტანდარტის დასახელება ნუმერაციის მითითებით

[51] კომპონენტის დასახელება ნუმერაციის მითითებით

[52] საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)

	საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი იყენებს ხარისხის კონტროლის შიდა მექანიზმებს (დანართი 13), რომელთა მიზანია სწავლების ხარისხის უწყვეტი გაუმჯობესება, მისი მონიტორინგი, აკადემიური და მატერიალური რესურსების ეფექტური გამოყენება, რაც გულისხმობს აკადემიური პროცესის, საგანმანათლებლო პროგრამების და ყველა შემადგენელი კომპონენტის პერიოდულ მონიტორინგს. სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტის პროგრამაში ჩართული პერსონალი პროგრამასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღებისას ითვალისწინებს ხარისხის შეფასების შედეგებს, რაც ნათლადაა აღწერილი მონიტორინგის ფარგლებში წარმოდგენილ დოკუმენტაციაში, კერძოდ „დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „სამთო-გეოლოგიური“ სწავლის შედეგების შეფასების ანგარიში“ და „სააკრედიტაციო პერიოდში პროგრამების შიდა და გარე ხარისხის შეფასების შედეგების ანალიზი“. მასში აღნიშნულია, რომ შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით განხორციელდა სწავლის შედეგების შეფასების და სამიზნე ნიშნულების დადარება. მსგავსი შეფასება განხორციელდება პერიოდულად, ყოველი სასწავლო წლის დასრულების შემდეგ და საჭიროების შემთხვევაში მოხდება სათანადო ცვლილებების ასახვა პროგრამის ხარისხის განვითარების მიზნით. შიდა ხარისხის შეფასების და განვითარების პროცესში გამოიყენება მრავალფეროვანი შეფასების ინსტრუმენტები. პერიოდულად ხორციელდება კვლევები სასწავლო პროცესში ჩართული ყველა დაინტერესებულ სეგმენტთან მიმართებაში, ეს იქნება სტუდენტები, კურსდამთავრებულები, აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალი და დამსაქმებლები. სტუ-ს რექტორის ბრძანებით შექმნილია საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების საფაკულ-ტეტო კომისია, რომელთა უმთავრესი ფუნქციაა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურ-თან ერთად აწარმოოს საგანმანათლებლო რესურსების პერიოდული შეფასება (როგორც მატერიალური რესურსის: აუდიტორიები, ლაბორატორიები, ბიბლიოთეკა, სასწავლო ლიტერატურა, ინტერნეტის და კომპიუტერული ლაბორატორიების ხელმისაწვდო-მობა, ასევე ადამიანური რესურსის.)

რჩევა[53] XI	
შეფასება	
მტკიცებულებ(ები)ა	1. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო სადოქტორო პროგრამის „ნავთობისა და გაზის ტექნოლოგია“ შესახებ; 2. სწავლის შედეგების სამიზნე ნიშნულების რუკა (დანართი 11); 3. სტუდენტების თვითშეფასების რუკა (დანართი 11); 4. სწავლის შედეგების შეფასების ანგარიში (დანართი 11). 5. საქართველოს ტექნუკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს დადგენილება #01-05-04/108 სტუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმების დამტკიცების შესახებ (დანართი 13). 6. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ვებგვერდი http://gtu.ge/quality/;

სტანდარტის დასახელება[54]	5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები
კომპონენტის დასახელება[55]	5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება
რეკომენდაცია XII[56]	აუცილებელია მკაფიოდ განსაზღვრული პროცედურის არსებობა შეფასების შედეგების შემდგომი გამოყენებისა პროგრამის განვითარების მიზნებისათვის;
შეფასება	რეკომენდაცია შესრულებულია. წარმოდგენილი ანგარიშის მიხედვით და მტკიცებულებების საფუძველზე ირკვევა, რომ უნივერსიტეტმა გაითვალისწინა აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაცია მკაფიოდ განსაზღვრული პროცედურის არსებობის შესახებ შეფასების შედეგების შემდგომი გამოყენებისა პროგრამის განვითარების მიზნებისათვის. საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების და გაუმჯობესების მიზნით შეფასება ხდება სტუდენტთა,

[53] საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რჩევა გადმოიტანეთ უცვლელად)
[54] სტანდარტის დასახელება ნუმერაციის მითითებით
[55] კომპონენტის დასახელება ნუმერაციის მითითებით
[56] საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)

	აკადემიური პერსონალის, და დამსაქმებელთა გამოკითხვით, რისთვისაც შემუშავებულია შესაბამისი კითხვარები, რითაც სტუდენტს საშუალება ეძლევა თავისი მოსაზრება დააფიქსიროს როგორც სასწავლო პროცესის, ასევე, საგანმანათლებლო პროგრამის შინაარსის, ადამიანური, მატერიალური და საინფორმაციო რესურსის შესახებ. შეფასების განხორციელების პროცესში ანონიმურობა მაქსიმალურად დაცულია, რაც სტუდენტებს აძლევს საშუალებას თავისუფლად და დამოუკიდებლად დააფიქსიროს საკუთარი მოსაზრებები. საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და რევიზია ხორციელდება პერიოდულად სტუდენტებისა და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით. ხდება მიღებული ინფორმაციის გაანალიზება და პროგრამის მოდიფიცირება მისი განახლების უზრუნველსაყოფად. ასევე, სტუ-ს ბაზაზე ფუნქციონირებს ელექტრონული სერვისების სისტემა "vici" (vici.gtu.ge), რომელშიც რეგულარულად იწარმოება და განახლების პროცესშია მონაცემთა ელექტორნული ბაზა, სადაც თავმოყრილია უნივერსიტეტში მიმდინარე სასწავლო, კვლევითი, ადმინისტრაციული პროცესებისა და ამ პროცესებში ჩართული სტუდენტების, აკადემიური, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის გარშემო არსებული მონაცემები. თითოეული სტუდენტი რეგისტრირებულია vici სისტემაში და ფლობს საკუთარ ანგარიშს, რომლის მეშვეობითაც მას აქვს წვდომა მისი საგანმანათლებლო პროგრამის, მის მიერ არჩეული თითოეული კურსისა და პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალის გარშემო არსებულ ინფორმაციაზე, რომელიც უშუალოდ უკავშირდება მის საგანამანათლებლო პროცესსა და პროგრესს. vici პლატფორმის მეშვეობით სტუ-ში ჩატარდა როგორც საცდელი (საპილოტე) ასევე, სრულმასშტაბიანი საუნივერსიტეტო გამოკითხვები და ამჟამად პლატფორმა აქტიურ რეჟიმში აწარმოებს სტუდენტთა სემესტრულ გამოკითხვას. vici პლატფორმის მეშვეობით უკვე ჩატარდა საუნივერსიტეტო მასშტაბით გამოკითხვა, ონლაინ სწავლებით სტუდენტთა კმაყოფილებაზე, რომელშიც სტუ-ს 6539 სტუდენტმა მიიღო მონაწილეობა. სტუდენტებს, გამოკითხვის ფარგლებში, შესაძლებელობა ეძლეოდათ სხვადასხვა პარამეტრის მიხედვით შეეფასებინათ ონლაინ სწავლებაზე გადასვლის პროცესი და მასთან დაკავშირებული

	სირთულეები, ონლაინ სწავლების დადებითი და უარყოფითი გავლენა მათი სწავლის შედეგზე. აღნიშნული გამოკითხვის შედეგები ანალიზის პროცესშია. სტუ-ს რექტორის 2016 წლის 28 მარტის № 42 ბრძანებითშეიქმნა საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების საფაკულტეტო კომისიები, დამტკიცდა კომისიების საქმიანობისრეგლამენტი. კომისია ამოწმებს საგანმანათლებლო პროგრამებითა და სასწავლო კურსების პროგრამებით გათვალისწინებული ლაბორატორიული აღჭურვილობის, სათანადო ლიტერატურის, პროგრამების განმახორციელებელი ადამიანური რესურსის, აუდიტორიებისა და პროგრამის სხვა პარამეტრებისშესაბამისობას ავტორიზაციისა და აკრედიტაციის მოთხოვნებთან, აგრეთვე პროგრამის სასწავლო და კვლევითი კომპონენტების შესრულების პროცესის მიმდინარეობას. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტებისშემუშავებისა და შეფასების განხორციელების შემდგომ შეფასების შედეგებს იყენებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.
რჩევა[57] XII	
შეფასება	
მტკიცებულებ(ები)ა	1. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო სადოქტორო პროგრამის „ნავთობისა და გაზის ტექნოლოგია“ შესახებ; 2. vici სისტემა და გამოკითხვების პლატფორმა დანართით (დანართი 12).

სტანდარტის დასახელება[58]	5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები
კომპონენტის დასახელება[59]	5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება
რეკომენდაცია XIII[60]	უნივერსიტეტმა უნდა შეიმუშაოს მექანიზმი,

[57] საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რჩევა გადმოიტანეთ უცვლელად)

[58] სტანდარტის დასახელება ნუმერაციის მითითებით

[59] კომპონენტის დასახელება ნუმერაციის მითითებით

[60] საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)

	რომელიც შეფასების პროცესში ჩართავს გამოსაკითხ კატეგორიაში შემავალ ყველა დაინტერესებულ მხარეს.
შეფასება	რეკომენდაცია შესრულებულია. წარმოდგენილი ანგარიშის მიხედვით და მტკიცებულებების საფუძველზე ირკვევა, რომ უნივერსიტეტმა გაითვალისწინა აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაცია უნივერსიტეტის მიერ მექანიზმის შემუშავების შესახებ , რომელიც შეფასების პროცესში ჩართავს გამოსაკითხ კატეგორიაში შემავალ ყველა დაინტერესებულ მხარეს. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი იყენებს ხარისხის კონტროლის შიდა მექანიზმებს (დანართი 13), რომელთა მიზანია სწავლების ხარისხის უწყვეტი გაუმჯობესება, მისი მონიტორინგი, აკადემიური და მატერიალური რესურსების ეფექტური გამოყენება, რაც გულისხმობს აკადემიური პროცესის, საგანმანათლებლო პროგრამების და ყველა შემადგენელი კომპონენტის პერიოდულ მონიტორინგს. სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტის პროგრამაში ჩართული პერსონალი პროგრამასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღებისას ითვალისწინებს ხარისხის შეფასების შედეგებს, რაც ნათლადაა აღწერილი მონიტორინგის ფარგლებში წარმოდგენილ დოკუმენტაციაში. შიდა ხარისხის შეფასების და განვითარების პროცესში გამოიყენება მრავალფეროვანი შეფასების ინსტრუმენტები. პერიოდულად ხორციელდება კვლევები სასწავლო პროცესში ჩართული ყველა დაინტერესებულ სეგმენტთან მიმართებაში, ეს იქნება სტუდენტები, კურსდამთავრებულები, აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალი და დამსაქმებლები. სტუ-ს რექტორის ბრძანებით შექმნილია საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების საფაკულ-ტეტო კომისია, რომელთა უმთავრესი ფუნქციაა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურ-თან ერთად აწარმოოს საგანმანათლებლო რესურსების პერიოდული შეფასება (როგორც მატერიალური რესურსის: აუდიტორიები, ლაბორატორიები, ბიბლიოთეკა, სასწავლო ლიტერატურა, ინტერნეტის და კომპიუტერული ლაბორატორიების ხელმისაწვდო-მობა, ასევე ადამიანური რესურსის.)
რჩევა[61] XIII	

[61] საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რჩევა გადმოიტანეთ უცვლელად)

შეფასება	
მტკიცებულებ(ები)ა	1. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო სადოქტორო პროგრამის „ნავთობისა და გაზის ტექნოლოგია“ შესახებ; 2. სტუ-ს აკადემიური საბჭოს 2018 წლის 17 აპრილის დადგენილება N 01-05-04/108 „ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმების დამტკიცების შესახებ“ (დანართი 13).

თანდართული დოკუმენტაცია[62]

ექსპერტის ხელმოწერა

ნინო დონდოლაძე



[62] თითოეული დოკუმენტის დასახელება და ფურცლების რაოდენობა